

სასაქონის კურსელი

სურათების და გამოცემის
სახლი

გაზეთის № 375

დაგვეგის № 67

შპბათი, 6 სექტემბერი 1915 წ.



1915-იაზაველა მთაში თავის სახლის წინ.



დიმიტრი მაიხეზელი, შიო მღვიმელი და
1915-იაზაველა.

მკერვალი. როგორ?

მკერვალი. როგორ?

ანეტა. ახალმოდის კაბა გთხოვთ.

მკერვალი. განა ეს კაბა ახალმოდისა არ გახლავთ? რასა ბრძანებთ, ძალიან-კი გახდებათ-და...

ანეტა. ეკრე გვინია!.. განა არა ვხედავ, ჩაც არის?..

მკერვალი. (ზრდილობიანად) ალბათ კარგად ვერა ჰქედავთ და ამიტომ ბრძანებთ გაგას...

ანეტა. სწორედ, კარგად ვერა ვხედავ .. რადგან ეს კაბა საბალო კაბაა, მინდა ვიცოდე, ლამფის სინათლეზე როგორ ეფექტს მოახდენს...

მკერვალი. განა ეს-კი კარგად არა სჩანს?.. მაგრამ თუ გნებათ, ამაზე აღვალი რა არის... (შეგირდს) დარბები მიხურეთ და ელექტრონის ლუსტრია აანთეთ... (შეგირდი ასრულებს ბრძანებას).

სცენა. სცარმოებს მკერვალთან. ანეტამ საბალო კაბა ჩაიცეა გასაზომად.

ანეტა. 30 წლისა, გამხდარ-გამხდარი ულამაზო...

მკერვალი ქალი. 50 წლისა.


შეგირდი ქალი. 18 წლისა (უსიტყვო).

სცენა სცარმოებს მკერვალთან. ანეტამ საბალო კაბა ჩაიცეა გასაზომად. მკერვალს, ქინძისთავები უდევს პირში და ჰერელის როგორც წესი და რიგია. ანეტა სარკეში ჩაიხდავს და წარბებს შეაჭუნხავს.

ანეტა. (მკვახედ) კარგად ვერ გავიგიათ, რაც გითხარით.



ვაშა-ცუავები ქუთაისში 1913 წლ. 20 თებერვალს. მის გარშემო სდგანან ქუთათური ახალგაზდა მწერლები.



ვაშა და დავით კლდიაშვილი.

ანეტა. (ქაყალილი) ეგრე!.. ეხლა უკეთესად დავინახავ...
მკერვალი. ცისფერი ლამაზის სინათლეზე უფრო ლამაზია ხოლო...
მე... ძალიან გშვენით...

ანეტა. (სარკის წინ ტრიალებს) მართალია, ლამაზი ფერია...

მკერვალი. ფერიც ლამაზია, და მთელი კაბაც.

ანეტა. (გამჭვეტინებს) აյი გითხარით, ძალიან ვიწრო კაბა უნდა იყოს-მეთქი...

მკერვალი. ვიწრო არ გახლავთ-თუ?

ანეტა. არა, მაშ... აბა აქ, თეძოებთან, შეპხდეთ... ძალიან განიერია... თითქოს, პარკიაო...

მკერვალი. (გაუსწორებს, აქეთ-იქიდან შეპხდავს და სხვა...) თუმცა ამაზე ვიწრო რაღა უნდა იყოს... ტიტველს ხორ...

ანეტა. (გამჭვეტინებს) გეუბნებით, ამაზე ვიწრო იყოს-მეთქი... ამ კაბაზე ქვეშიდა-იუბკას არ ჩავიცვამ ასე რომ...

მკერვალი. (გავკირვებული) როგორ თუ იუბკას არ ჩაიცვამთ... თქვენ, ისეთი დარბასისელი კაცის მეულე და იუბკას არ ჩაიცვამთ... თო, რასა ბრძანებთ...

ანეტა. რასა ბრძანებ? — ესეთი მოდა არ არის თუ?

მკერვალი. ესეთი მოდა!.. ესეთი მოდა გახლავთ, მართალია, მაგრამ სხვანაირ ქალებისათვის...

ანეტა. მარტო სხვანაირ ქალებისათვის-კი არა... ყველა ქალებისათვის...

მკერვალი. არასოდეს, არც ერთს ჩემს მუშტარს...

ანეტა. თქვენს მუშტრებს არა სცოდნიათ კარგად ჩაცმა...

მკერვალი. ქალბატონო, აგერ ოცდა ხუთი წელიწადია, დედა თქვენს კაბებს ვუკერავ... თქვენც პატარაობიდანვე გიცნობთ და არასოდეს არ შეგიცვითიათ ჩემთვის ისეთი კაბა, რომ...

ანეტა. მართალია, მაგრამ განა მადლიერი ვარ ჩემის თავისა? ამის იქით სულ ესეთი კაბები უნდა ვატარო...

მკერვალი. მევენ სულ სხვა ქალი ბრძანდებით, პატიოსანი, კარგის ოჯახის, ქმრის პატრონი...

ანეტა. მითომ ესეთი კაბა რომ ჩავიცვა, პატიოსანი აღარ ვიქნები?

მკერვალი. რა ბრძანებაა!.. უკაცრავად-კი, მაგრამ ისეთ კაბებს ხომ ვერ ატარებთ, როგორც გარყვნილი ქალები, და...

ანეტა. (მწარედ) რატომაც არაო!.. სწორედ მაგისთანა ქალები მოსწონან მამაკეცბს...

მკერვალი. იმიტომ, რომ დროა ეგეთი...

ანეტა. ჰო და ჩვენც დროს შესაფერად უნდა ჩავიცვათ...

მკერვალი. მე-კი მგონია, რომ პატიოსანმა ქალებმა უბრალო კაბები უნდა ატარონ და ამით შეებრძოლონ იმ გარე...

ანეტა. (აქამდის სარკეში იყურებოდა) აი, ეს დეკოლტე... აკი გითხარით, დიდი დეკოლტე უნდა გაუკეთოთ-მეთქი...

მკერვალი. (ტუქბზე ხელს მიიდებს) თოთ, ვის გაუგონია!..

ანეტა. თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონებენ... ეს ზედატანი ძალიან მაღლა იდი...

მკერვალი. ამაზე დაბლა რაღა იქნება!.. ძუძუებს ხომ არ გამოიჩინონ და...

ანეტა. ძუძუებამდის ჯერ კიდევ შორს არის... თავისუფლად და უშიშრად შეგიძლიან თხხის სანტიმეტრის რდენა კიდე მოაკლოთ...

მკერვალი. (შეშინებული) თხხი სანტიმეტრიო?.. ვის გაუგონია!.. იცით, სადამდის ჩავა?..

ანეტა. როგორ არ ვიცი... ზურკის დეკოლტეც უფრო დიდი უნდა იყოს...

მკერვალი. უფრო დიდი?

ანეტა (ენერგიულად) უფრო დიდი, მაშ.. ესე ხუთის სანტიმეტრის რდენა კიდევ უნდა პოსტრათ...

მკერვალი. (მკახედ) წელამდის ხომ არ გამოიჩენთ...

ანეტა. (თანდათან აღელვებული) ესე-კი უნდა იყოს და... საკვირველია, ღმერთიმანი, თითქოს ისეთი ულამაზო ვიყო, რომ დეკოლტის ტარება არ შემეტოს...

მკერვალი. მე მაგას არ მოგახსნებთ...

ანეტა. სხვაზე ურიგო რითი ვარ? მართალია, ცოტა გამხდარი ვარ, მაგრამ სიგამბდრე ნაკლულევანება ხომ არ არის? პირიქით...

მკერვალი. მე მაგას არ მოგახსნებთ...

ანეტა. მე მგონი, სხვაზე ნაკლები არა ვარ...

მკერვალი. რასაკირველია, არა...

ანეტა. მაშ რად უნდა დავთარო ჩემი ტანი?

მკერვალი. (დაემორჩილება, მაგრამ გულში სულ სხვას ფიქრობს) რასაკირველია...

ანეტა. მაშ ეგრე... ოთხი სანტიმეტრი წინ და ხუთიც უკან... შემდეგ...

მკერვალი. (შეშინებული) კიდე არის რამე?

ანეტა. აი მხრებზე ეს საქნელი რომ მიგიქერებიათ არ მომწონს... ულამაზოა და ამასთანავე ძალიან განიერიც...

მკერვალი. აღარაფერი მესმის... აღარაფერი მესმის... ჩემი გაკეთებული არ მოგწონთ?..

ანეტა. მაგას როდი გეუპნებით...

მკერვალი. მოდელი მე თეოთონ დაგხატე...

ანეტა. ეუბნებით, ძალიან განიერია-მეთქი... სრულიად უნდა მოჰქსნათ...

მკერვალი. როგორ თუ სრულიად უნდა მოგხსან?

ანეტა. ესე, სრულიად. ეს ზიზილ-პიპილები არ მომწონს... ამის მაგივრად ორი ვიწრო ლენტი გაუკეთოთ; ერთი წინადან, მეორე კიდე უკანიდან, ამ ლენტებს, ჩატანის დროს, მე თვითონ შევიკრავ...

მკერვალი. ორი ლენტი?

ანეტა. სწორედ ისე, როგორც გითხარით... მხრები ტიტველი უნდა მექონდეს...

მკერვალი. რო არ დაიკერს?.. ჩამოცურდება...

ანეტა. ჩამოცურდება და ამოცურდეს რა... ესეთი მოდაა...

მკერვალი. (დაემორჩილება) ბატონი ბრძანდებით...

ანეტა. ბალებზე ბევრი კაბა მინახავს ესეთის ლენტებით... მართალია, ძალიან დიდი დაბედვაა, მაგრამ ლამაზი-კია... მეც ესე მინდა ჩავიცავ ხოლმე ამას იქით... მეც რაღაც საცალოების მაგვარი კაბების ტარება!..

მკერვალი. როგორც გნებავთ ისე შევერავ ამ კაბას... მხოლოდ, ნება მიბრძეთ მოგახსენოთ, რომ ძალიან მაკვირვებს...

ანეტა. (ძკახედ) ეგ ჩემთვის სულ ერთია...

მკერვალი. ან თქვენი ქმარი რას იტყვის?

ანეტა. (აღელვებული) ჩემი ქმარი?.. რა უნდა სოქეას?.. იმას ძალიან უყვარს ესეთი კაბები, გარშმუნებთ გაგიურებით უყვარს...

მკერვალი. რასა ბრძანებთ!.. ისეთი დარბასისელი და პატიოსანი კაცი... ნატარიუსი და...



ილია ლიაძე
ბრძოლის ველზე მოკლული.




თავ. დიმიტრი ჭორჯაძე (მოკლული).



ნიკა რუსიშვილი.

(დაჭრილია და ტყვედა წაჟავანილი).



ჭ.-კ. პაპიაშვილი
(დაჭრილია).

ანეტა. მერე რა რომ ნატარიუსია... ნატარიუსობა რას უშლის? ვის გაუგონია... აკი გეუბნებით, გაგიუბით უყვარს-მეთქი ამისთანა კაბები... (თანდათან უფრო ალელვებული) იმისთვის სულერთია, ვინ ატარებს ამისთანა კაბებს: პატიოსანი თუ გარყვნილი ქალი... განა ეგ-კი მამაკაცი არ არის?.. ყველა მამაკაცები ერთმანეთსა ჰგავანან... აქამიანი არ არის?.. ყველა მამაკაცები ერთმანეთსა ჰგავანან... აქამიანი არ ვიცოდი, რომ ჩემი ქმარიც სხვებისთანა იყო... მაგრამ აქამიანი არ ვიცოდი, რომ ჩემი ქმარიც სხვებისთანა იყო... და ისე ჩავიცავ, როგორც ახლა-კი ვიცი... ყოველისფერი ვიცი... და ისე ჩავიცავ, როგორც ისინი... რო სხვა ქალები... ისეთსაც დეკოლტეს ვატარებ, როგორც ისინი... რო გორც ისინი...

მკერვალი. (დააცემულება ყურადღებით და მიპარება) საბრა-ლო ქალი!.. მაშ ეგა ყოფილა?

ანეტა. (ძალიან აშუოთებული და შეწუხებული) მაშ... მაშ... რომ იცოდეთ... რომ იცოდეთ... მერე ის უსინდისო ქრმი, პატრონი და ორის შვილის დედა... ის სალახ... ისეთ კაბებს იცვას ხოლო მე, ისეთ კაბებს იცვას ხოლმე, რომ ტიტველი ტანი-ლა უჩანს...

მკერვალი. ოოო!

ანეტა. (ცრემლმორეული) და ჩემს ქმარისაც მოსწონს... მოს-წონს... (გაჯავრებული) მაშ ეგრე... დეკოლტე აქამდის... და აქ, თე-ძოებთან, ვიწრო, ძალიან ვიწრო... ისე უნდა იყოს თითქოს ტიტვე-ლი ვარო... როგორც ის... როგორც ის... (თავს ვეღია შეივავებს და მდუღარებას აბნეეს).

ფარდა.

გიორგი ჭაბაძარი.



მომისახლავი ხას

ბერიოსისა.

— მე რომ ისეთი ადამიანი ვიყო, როგორიც არიან ყველა სხვა ადამიანები და არა ასეთი საბრალო, უმწერ ქმნილება, ვეცდებოდი ჩიმედინა ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელიც-კი, რომ ის ქა-ლი დათანხმებულიყო ჩემს ცოლობაზე.

— მ სერიოზულად და ულრმესი გრძნობით ნათქვამშა სიტყვებში რალაც უცნაურის გარკვევით გაირაკრავეს ბ-ნი მაქსულის ყურებ-თან საზოგადო სასიმოვნო ხმაურობაში, რომელიც მეფობდა გაჩი-რალდნებულ დიდ დარბაზში, სადაც შეკრებილიყო თვით საუკეთე-სო საზოგადოება. მაქსული გაკვირვებით მობრუნდა ამხანაგისკენ:

— ვიზე ამბობ, ბურკ? რომელ ქალზე? შენ ხომ ვერ შეგიძლიან ის...

— „დავინახო“, გინდა სთქვა? — დაამთავრა შეგობრის მაგიერ ყმაშვილმა კაჯა, მწყხარის, ნაღვლიანის ღმილით.

— დიახ, მე არ შემიძლიან და ვერც ვერასოდეს ვერ შევძლებ მის დანახებას... მაგრამ, დეიმ, თუ შესაძლებელია მთელის სულით და გულით შეყვარება ქალისა, მის დაუნახავად, შეყვარება მხოლოდ ხმის გაგონებით, რომელიც ეს არის ეხლა პირველად გავიგონე, ეს მოხდა ამ ერთი წუთის წინედ... ვინ არის ის ქალი, დეიმ! მას ზურ-გი აქვს ჩვენებ შემოქცეული, მარცხნივ... ჩემს იქით... ერთად-ერთი ნამდევილი თვისება, რომლითაც შემიძლიან გაინშნო, საოცარი, აღ-მაღროთვანებელი ხმა; მრწამს, ამ ნაირი ხმის ქალი არ შეიძლება ლამაზი არ იყოს: ეს ხომ ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა!

მაქსულმა ყურადღებით მიმოავლო თვალი ყველა მახლობლად მდგომ ქალებს, რადგან თვითონ ბურკს ეს არ შეეძლო: ბურკი უსი-ნათლო იყო.

მართლაც ნაჩვენებ ადგილზე იდგა ყმაშვილი ქალი, თითქმის ზურგ შემოქცეული. მაქსულმა დაინახა მართლაც მშვენიერი შოყ-ვანილი ტანი, ლია მხრები და საგანგებო ხაზები ხელებისა და ყე-ლისა; ქალი საუბრობდა. მაქსული დაეთანხმა თავის მეგობარს, რომ ასეთი ხმა და ასეთი ტანის მოყვანილობა შეიძლება ჰქონდეს მხო-

ლოდ უმშევნიერს ქალს. ის იყო მაქსუელს უნდოდა ამდგარიყო და მოევლო მეორე მხრიდან, საიდანაც დაინახავდა ქალის სახეს, რომ ქალმა თითონ გადასდგა რამდენიმე მწყობრი ხაბიჯი და მობრუნდა ამხანაგების მხარეს... მაქსუელმა ტუჩე იქბინა, რომ ამით შეემაგრებინა გაოცებული აღმოთქმა: ქალი მეტად უსახურიდა ძალზე ულამაზე იყო; გითქმის ლიმილსაც კი არ შეეძლო, დაქმდებინა მისი ტლანქი, სწორე ბაგეთა ხაზი, ჩაცინული წვრილი თვალები, და საზოგადო შთაბეჭდილება განსაკუთრებული ულმაზობისა. მაქსუელმა მოწყენით გადახედა უსინათლო ამხანაგს.

— ჴა, რა ამბავია?..— მოუთმენლად და მლელვარებით შეეკითხა ბურკი, — ნახე ის ქალი თუ ვერა?

— დიახ, ხმა ყველაზე უკუთხესი აქს, ტანის მოყვანილობა და თმაც შეგნიერი...

— კარა! მე ვიცოდი, იგი შეენიერი რამ იყო, დაწვრილებით მე არ ვსაჭიროებ. ვინ არის ის ქალი? არ შეეიძლიან გაიგო?

— შემიძლიან: ის ეხლა ქნ დენბარს ელაპარაკება, მე მივალ და ვსოხოვ გამაცნოს.

რა მაქსუელი გაემართა, ფრთხილად გაიარა მორთულ-მოკაზ-მულ ხალხს შეა იმ ადგილისკენ, სადაც იდგა თვით შეენიერი ტანადი და იმავე ტრიას იქ მყოფთა შორის თვით უმახინჯესი ქალი. მაქსუელი ძალიან კარგად იცნობდა ქნ დენბარს, რომ დიდხანს არ დასჭირებოდა ლოდნა; მაქსუელმა თავის საცოლეს წასჩურჩულა რამდენიმე სიტყვა და რამოდენიმე წუთის შემდეგ მან წარუდგინა ისინი ერთი მეორეს.

— კაპიტანი მაქსუელი, ქნი დოლლასი.

წვრილი შევი თვალები ქნ დოლლასისა სიამოვნებით მიეპ-ყრნენ კაპიტანს: სახელი მაქსუელისა ომის შემდეგ კარგად იყო ცნობილი. ორი წუთის ლაპარაკი საემარისი იყო, რომ დაგვიწყებოდათ სახე ამ ქალისა; კაპიტანი დაეშურა იმ უბედურ შემთხვევაზე მოგონებას თავის სამხედრო პრაქტიკიდან, როდესაც მასთან ერთად მყოფმა მევობარმა მხედველობა დაჭირება.

— თხ, ბატონი ბურკი? მაშ ის თქვენი ამხანაგია? რასაკირველია, გამიგონია და წამიკითხავს კიდეც იმ საშინელ შემთხვევაზე... — სიკოცხლით სავსე თანაგრძობით, დაილაპარაკა ქნნა დოლლასმა. სად არის იქ? იქ, აი იმ კუთხეში?.. დიახ, მაშინვე ეტყობა, რომ იგი უსინათლო, საბრალო...

— ნებას მომცემთ წარმოგიდგინოთ იგი?

— დიახ, დიდად სასიამოვნო იქნება. — ამ სიტყვებით ბედი უსიათლოს და გასაოცარის ხმის ქალისა, გადაწყვეტილი იყო.

— შემიძლიან გამოესცხადდე თქვენს წინაშე, ქნი დოლლას? კითხვით დაილაპარაკა ბურკმა, როდესაც მაქსუელი ნახევარ საათის უკან დაბრუნდა.

— რასაკირველია, ბ-ნო ბურკ. მე დიდად სასიამოვნოდ დამჩენება, თქვენი ნახვა ჩემ სახლში, როდესაც კი გენეროთ, კვირა დღით! — უპასუხა ქალმა. მაქსუელს მოეჩვენა, რომ ქალის თვალები გაბრწყინდენ და გალამაზდენ იმ წუთში, როდესაც უსინათლოს მიაპყრო გამომშეიღების დროს.

ამხანაგთან ერთად სახლში მიმავალი, მშეიღის იქნისის ღამეში, ბურკი ლაპარაკობდა იმ აღმატროვან სიტყვების შესახებ, რომლებიც უნებლიერ წამოსცდება ხოლმე ყოველ ახალგაზდა ქაცს, როდესაც ღრმო მოგა, ჯერი ქალის შეყვარებისა. უცირად ლაპარაკი შესწყვიტა:

— ღმერთო!.. სრულებით დამავიწყდა, რომ მე... მე დამახინ-ჯებული ვარ!.. რა დამოკიდებულება შეუძლიან იქნიოს ჩემთან ამ ქალის შევენიერებამ?.. შენ, უთუოდ გონია, რომ მე კულაზე შევი-შალე!..

— მე მესმის შენი გულის თქმა, ჩემ მეგობარო, მაგრამ სიმართლით რომ უსთვევ, ბედნიერება შენთვის სულაც არ უნდა ჩაი-თვალოს მიუწოდოს. საჭიროა, მხოლოდ, ქალმა შემოვხედოს ნამდვილის ადამიანურის თვალით. თუ ქნი დოლლასი მართლა, იმ გასაოცარის ხასიათებისა, რომელსაც აწერენ, მაშინ იგი წვრილმან ჭორებს ყურადღებას არ მიაქცევს.

— ხო, მაგრამ, შენ წარმოიღვინე, წარმოიღვინე მხოლოდ! განა ასეთ ტურფა ქალს შეუძლიან შემიყვაროს უმწეო, დამახინჯებული ადამიანი?.. იმის მხრით ეს მხოლოდ სიბრალული იქნებოდა და არა სიყვარული. მე კი სიბრალული სულაც არ მინდა.

მაქსუელმა მოიგონა, რომ მისი მეგობარი ქალბატონ დოლლას უნდა სოვლიდეს მიუწოდომელ მშვენიერებად, რომელსაც გარს მოტრ-

ფიალეთა წრე არტყია. სულის ძალა კი არა ჰყოფნიშვილი არა ნააღმდეგში დაქრწმუნებინა.

კვირიდან კვირამდე, დღიდან დღემდე მაქსუელი ისმენდა ბურკის უფრო და უფრო აღფრთოვანებულ საუბარს. რაც მრტი დღი გადიოდა, მისი აღფრთოვანება უფრო იზრდებოდა; თუმცა გადაწყვეტით მათ შორის ჯერ არა მომხდარიყო რა.

იმ კვირია. — დაიწყო ქნი დოლლასმა და შეჩერდა. — იმ კვირია მი... მივდივარ.

მხიანი საღამო იყო: ოთხმა კვირამ გაიარა მას შემდეგ. რაც ბურკი გაიცნო. ლონდონშიც უკვე დაიწყო მოძრაობა, მიმოსვლა აღგილ-მამულებში, საზღვარ-გარეთის „კურორტებზე“ და შოტლანდის ტბებზე.

— მიღიხართ?.. — შეეკითხა ბურკი აკანკალებულის ხმით. რა-საკვირველია! მას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ „აღარავინ“ არა რჩება ლონდონში სეზონის გათავების შემდეგ თვითონაც მუდამ მის-დევდა ამ დიდებაცურ ჩვეულობას; მაგრამ ეხლა ის სრულიად არა ფიქრობდა ირაფერზე, გარდა თავის სიყვარულისა; ინსტიქტიურად ელოდა, რომ ქნ დოლლას, პირველს მიეცა ნება მისთვის ამ სიყვარულზე ლაპარაკისა?

— ჯერ შოტლანდიაში წავალ, შემდეგ კი ჩემს მამულში, სადაც ყველაზე მეტად მიყვარს ზაფხულისა და შემოდგომის გატარება, — განაირდო ქალმა.

— და მე კი უთქვენოთ უნდა ვიცხოვრო!.. — უნებლიერ წარმოსთქვა ბურკა ყრუ, ჩურჩულის ხმით.

დადგა წუთი სიჩუმისა, რომელიც ბურკს მოელ საუკუნედ ეჩვენებოდა. მას ვერ შეეძლო დაენახა ქალის სახეზე დაუსრულებელი ბედნიერი სიხარულის გამომეტყველება. რა იცოდა ბურკმა, რომ ამ ქალის ბედნიერება დამოკიდებული იყო მომავალ წუთზე. იგი მას დაუსრულებლად ეჩვენებოდა. დარწმუნებული რომ ქნი დოლლასი აღმფოთებულია მის თავხედობაზე, ფეხზე წამოდგა.

— მაშ, სჩანს უნდა გამოკემშვიდობოთ... ჩემთვის კი აღარ არის იმედი?..

— „იმედი“?.. ოხ!

ბურკი მიხვდა ქალის ხმის აკანკალების მიზეზს.

დიახ! ასე დაიწყო მათი ბედნიერება.

მათმა ქორწინებამ ყველანი გააოცა თავისი რომანტიზმით. მასზე ლაპარაკობდნენ თითქმის ორი კვირის განმავლობაში. მაგრამ არ გაუვლია წელიწადს, რომ უცნაური შიში შეეპარა სულის სილრ-მეში ერთნა ბურკისას; მან სრულიად შემთხვევით ყური მოპრა თავის ქმარზე ლაპარაკის:

— შეიძლება-კი ბურკს როდისმე მხედველობა დაუსრულდეს?

— საეკვაო; თუმც ეს მისი უდიდესი სურვილია.

— საბედნიეროდ ჩვენი უდიდესი სურვილები ძალიან იშვიათად ასრულება ხოლმე!

— დიახ... უკეთესი კი იქნებოდა დაენებებინა თავი ექიმებისათვის.

ქარს არასოდეს არ უთქვამს ერთნასათვის ექიმს მივმართავო; კარგად რისთვისაც; ქარს მისი შეწუხება არ უნდოდა. ქალი კი მუზამ დღე ლმერთს მაღლობას სწირავდა ქმრის უსინათლობისათვის... შიშმა, რომ როდისმე მის ქმარს მხედველობა დაუბრუნდებოდა საიღმოლოდ, სადღაულოდ, ქალის სულის სილრმეში ითეთქა და ზედა-პირს ამოვარდა.

უანა იჯდა ოთხში, მძიმე ფუქრებში გართული. მის ბედნიერებას ემუქრებოდა პირველი ელდ, თუმცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა დილით ქმარმა უთხრა, ექიმებთან მივ-დივარ კონსილიუმზედაო.

(დასასრული იქნება).

ლიზა მესხიშვილი.

